მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1
2015 წლის 15 იანვარი

ქ. მარტვილი

,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობის ფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისშესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობი სრადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის) სანებართვო მოწმობისფორმის, მათი გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის, გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ფორმების ჩამოწერის აქტის ფორმისა და სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ნოემბრის №42 დადგენილების (www.matsne.gov.ge, 26.11.2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.109.016134) შეტანილ იქნეს ცვლილება და დანართი 2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მარტვილის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსი გაბისონია**

დანართი №2

მცირე სახელმწიფო გერბი მარტვილის მუნიციპალიტეტის გერბი
მარტვილის მუნიციპალიტეტი

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობა

ნებართვა № ----------

1. ნებართვის გაცემის თარიღი: 201_ წლის----------

2. ნებართვის ვადის დინების დაწყების თარიღი: 201_ წლის----------

3. ნებართვა ძალაშია: 201_ წლის---------- მდე

4. ნებართვის მფლობელი: ----------

(დასახელება და საიდენტიფიკაციო მონაცემები)

(მისამართი)

5. სამშენებლო ობიექტი: ----------

(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

(შენობა-ნაგებობის კლასი და მისამართი, ადგილმდებარეობა)

(მიწის ნაკვეთის სარეგისტრაციო მონაცემები, საკადასტრო კოდი)

6. პროექტი შეთანხმებულია: ----------

(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება)

(მისამართი)

7. ნებართვის გამცემი ორგანო: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახური

8. ნებართვის გაცემის საფუძველი: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგელის

201_წლის ----------ბრძანება №

მოწმობის მე-2 გვერდი:

---

9. სანებართვო პირობები:

მშენებლობის ნებართვის მფლობელი ვალდებულია:

ა) აწარმოოს მშენებლობა ნებართვით განსაზღვრულ ვადებში;

ბ) აწარმოოს მშენებლობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის მოთხოვნების დაცვით;

გ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო დოკუმენტის დარღვევის გარეშე;

დ) აწარმოოს მშენებლობა სამშენებლო რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით;

ე) სამშენებლო დოკუმენტით გათვალისწინებული მშენებლობის ყოველი ეტაპის დასრულების შემდეგ, განსაზღვრული წესით, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმი;

ვ) ახალი მშენებლობისა და შენობა–ნაგებობების რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან _____ ვადაში შენობა–ნაგებობა წარაგდინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების დარღვევისას ნებართვის მფლობელს დაეკისრება ,,ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

-

10. საექსპერტო ორგანოს დასკვნა (კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში):

-

11. სანებართვო მოწმობის შევსებაზე პასუხისმგებელი

პირი:----------

12.სანებართვო მოწმობაზე ხელმომწერი უფლებამოსილიპირი:----------

(სახელი, გვარი)

(თანამდებობა)

ბ. ა. ----------

(ხელმოწერა)

დამკვეთი: მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობა

დამამზადებელი:

სფს-ს რეგისტრაციის №.